№ 25 29 ივნისი 1873 29 ივნისი №25

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

	გაგზავნით.	გაუგზავნ.
ერთის წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	— 3 „ „	2 „ 50
სამის თვისა	— 1 „ 75	1 „ 50
ერთის თვისა	— „ „ 60	„ „ 50
ცალკე ნომრისა	— „ „ 12	„ „ 10

განცხადებანი, „დროებაში„ გასაბეჭდათ, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი დანცხადებისა ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მერვე

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების„ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

ქუთაისში: გერასიმე კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვ. მესხთან.

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА“.

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

შინაარსი

რედაქციის განცხადება.—საქართველო: ეპარქიული სასამართლო.—წვრილი ამბები.—„დროების“ კორრესპონდენცია: ბორიდამ.—რუსეთი: წვრილი ამბები.—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,—ესპანია,—ინგლისი. ოქმიანობის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში.—ნარევი.—განცხადებანი.

ფელტონი: ბაკვრა-გამოკვრა—ნ. სკანდელისა.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება თფილისში—„დროების„ რედაქციის კანტორაში (სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში).

ქუთაისში—ბერ. ქალანდარიშვილთან და სვ. მესხთან.

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: *ВЪ ТИФЛИСЪ. Въ редакцію газеты „ДРОЭБА“.*

ფასი—სამი მანეთი.

ნახევარი წლის ხელის-მოწერლებს გაზეთი პირველი ივლისიდამ წლის დამლევამდი ეგზავნებათ.

საქართველო

ეპარქიული სასამართლო

არცერთ საგანზე არ ყოფილა ჩვენში, ამ უკანასკნელ დროს, იმდენი ლაპარაკი, რამდენიც ამ ეპარქიულ სასამართლოებზე იყო. როგორც საზოგადოთ ყოველს საქმეში, აქაც ამოჩნდნენ „ჰო“ და „არას“ მთქმელნი. ზოგი ამტკიცებდა, რომ ეხლანდელი საზოგადო სასამართლოები არ აკმაყოფილებენ ეპარქიის ხალხის მოთხოვნილებასაო, იმათ არ იციან საეპარქიო წესები და ჩვეულებანი, რომ რიგიანის სიმართლითა და სისწრაფით ვერ ათავებენ საეპარქიო საქმეებსაო და ამიტომ განსაკუთრებული ეპარქიული სასამართლოს გამართვა თფილისისათვის აუცილებლად საჭირო არისო. სხვები, ამათ წინააღმდეგ, ამბობდნენ, რომ ეპარქიულ სასამართლოებმა დიდი ხანია მოიჭამა სიცოცხლეო, განათლებულ სახელმწიფოებში ამ გვარი სასამართლოები თანდა-თან ისპობაო, ყველასთვის საერთო სასამართლოები ფუძნდებაო და მაშასადამე არც ჩვენს ქალაქს სჭირია განსაკუთრებული ეპარქიული სასამართლოო.

ამ ბაასს ეხლა არაერთარი მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან თვითონ ქალაქის გამგეობის საზოგადო კრებამ დააბოლოვა ეს საქმე მით, რომ გადაწყვიტა ქალაქში თავის ხარჯით ეპარქიული სასამართლოს გამართვა. მარტო ის გარემოება, რომ თითქმის მთელი ქალაქის ეპარქიის ხალხი თხოულობდა ამ ეპარქიული სასამართლოს განწესებას, გვიმტკიცებს, რომ ეს სასამართლო ქალაქისათვის, ალბათ, აუცილებლად საჭირო ყოფილა.

„თფილისის მოამბის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ერცელი მოხსენება უფ. ქალაქის გამგეობის სეკრეტარისა, რომელშიაც დაწვრილებით არის მოყვანილი, თუ როგორ მდგომარეობაშია ეხლა ეს ეპარქიული სასამართლოს საქმე. ამ მოხსენებიდამ ჩვენ, სხვათა შორის, ეტყობულობთ, რომ ქალაქის გამგეობას ეპარქიული სასამართლოს დაწესებისათანავე შეუდგენია აგრეთვე ამ სასამართლოს წესდებულობის პროექტი, რომელიც მმართებლობას უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად. ამას წინათ, როდესაც ამ წესდებულების თაობაზე ქალაქის კრებებში ბაასი შეიქნა, ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე—ამ სასამართლოში მოსამსახურე პირები ჯამაგირით უნდა იყვნენ, თუ უჯამაგიროთ უნდა მსახურებდნენო. ეხლა ამ წესდებულობის პროექტიდგან ეტყობულობთ, რომ ეს საქმე როგორც სასურველი იყო, ისე გადაწყვეტილა: კომისიას, ეპარქიებისაგან ამორჩეულ ორ წევრს გარდა, ყველასთვის შესაფერი ჯამაგირი დაუნიშნავს, ასე რომ ქალაქს ეს ეპარქიული სასამართლო წელიწადში შვიდმეტ ათას სამას მანეთად (17,300) დაუჯდება.

ამ ნაირათ, თუ უმაღლესმა მთავრობამ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არ ნახა, ჩვენ ქალაქს ამ ერთი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ეპარქიული სასამართლო ექნება. ეს გარემოება, თავის პირდაპირი დანიშნულების ასრულების გარდა, სხვა მხრითაც დიდ სარგებლობას მოიტანს: რაკი ეხლანდელი საზოგადო სასამართლოები საეპარქიო საქმეების განხილვისაგან განთავისუფლებულნი იქნებიან, უეჭველია, მაშინ სხვა საქმეები ამ სასამართლოებში უფრო მომეტებულის სიჩქარითა და გულდასმით იქნებიან წარმოებულნი და ვინ არ იცის, რომ ეს ყოველი მმართლ-მსაჯულების ორგანისათვის აუცილებელად საჭირო თვისებები ერთი-ორად აამაღლებენ ჩვენ საზოგადო სასამართლოებსა.

ახლა ჩვენს თავში ერთი ჰაზრი იბადება. თფილისის მოქალაქე ხალხს თავის საკუთარი გამგეობა აქვს, იმას აქვს თავის ბანკი, მალე სახელოსნო შკოლას და სხვა ამ გვარ საქმეებს გამმართავს; ეხლა ის თავის საკუთარ სასამართლოს დაწესებას აპირებს.—მაგრამ ქუთაისის მოქალაქეები კი რას აკეთებენ? ნუ თუ დრო არ არის, რომ იმათაც მიაქციონ ყურადღება ისეთს საქალაქო დაწესებაებს, რომელნიც ყოველ რიგიან ქალაქში არის გამართული? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქალაქმა რომ მოინდომა, ადვილათ შეუძლია,—რასაკვირველია ერთობითა და თანხმობით,—იმ მიზეზების მოსპობა, რომელნიც ამგვარ საქმეებში ხელს უშლიან იმას....

ს. მ.

ფელტონი

ბაკვრა-გამოკვრა

. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .

÷

ბაგიგონია, მკითხველო, ფრედერიკ ლემეტრის სახელი? ეს ერთი იმ არტისტთაგანია, რომელთაც მთელი ორმოცი წლის განმავლობაში გაართვეს და დააფიქრეს ევროპის საზოგადოება. ეხლანდელი თეატრის ამაღლებაში, მისი მნიშვნელობის გაძლიერებაში, მის გავლენის მოპოებაში და განსაკუთრებით თეატრის გამოყენებაში საზოგადო ცხოვრების და ზნეობის გასაუმჯობესებლათ იმოდენა ღვაწლი და სარგებლობა არავის გამოუჩენია. მისმა დაუფასებლათ მაღალმა ნიჭმა და დაუღალავმა შრომამ იმოდნათ აამაღლა თეატრისა და მაშასადამე მწერლობის მნიშვნელობა, რომ თითქმის მთელი თაობები გამოზდილა მის ბასრი სიცილით და მწვავი თამაშით. იმან დააარსა საფრანგეთში რეალური მიმართულება თეატრის წარმოდგენისა, იმან გამოზარდა ეხლანდელი შკოლა აქტიორებისა, და გადაჰარბებაროდი იქნება კაცმა რომ სთქვას, რომ რაც კარგი მხარე აქვს დღეს აქტიორების არტისტულ თამაშს, ის ეკუთვნის ფრედერიკ ლემეტრს და მისგან არის შემოღებული.

÷

დღეს ამ თეატრის გმირს, რომელმაც მთელი ევროპის საზოგადოება ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხან აცინა და ხან ატირა, რომელმაც წმინდა ესტეტიკურ დატკბობას გააცნო ყველა, ვინც კი მოწინავე ან მაღალ საზოგადოებას ეკუთვნის ევროპაში,—დღეს ეს კაცი მოხუცდა, მოტყდა, დაღალდა. და მის შრომას, ნიჭს, გონებას ის სარგებლობა მოუტანია მისთვის, რომ იმ დღეს იმას აუწერეს უკანასკნელი ხორაგი, რადგანც ლემეტრს ვერ შესძლებია სახელმწიფო გარდასახადის—ოთხიოდე თუმნის—დროზე შეტანა. აწერას ვინ დაეძებს. აწერილ ხორაგს გაყიდვაც არ ასცილდებოდა თურმე, გაზეთებს ეს ამბავი რომ არ დაებეჭდათ და მმართებლობისთვის არ ეძულებიათ—გადახდევინების შეჩერება...

÷

იმავე დღეს და იმავე გაზეთში წავიკითხე, რომ ბავარიის პრინცს ლუიტპოლდს (სახელი კარგა არ მახსოვს) თავის დანიშნულისთვის ნახევარ მილიონის საღირალი ბრილიანტები მოურთმევიაო.

ქარგია, მაინც, რომ თუ ნიჭს და შრომას დამშეული სიბერე მოსდევს და ელის, გვარისშვილობას მაინც კაი გასავალი ჰქონია...

(დასასრული სტამბაში დაირკვება.)

÷

ერთხელ ეს ფრედერიკ ლემეტრი ლონდონში არდგენდა შელიქს პიას სენტიმენტალურ დრამას „პარიჟელი მეპინჭე.“ ამ თხზულებაში გამოსახულია სიღარიბის ჩაგვრა და გაჭირვება ისეთ კილოთი, რომ ბევრს მის მნახველს თვალები ცრემლით ავსებია. ინგლისის მეფე ვიქტორია დაესწრო ამ წარმოდგენას, და ანტრაკტში ლემეტრს გამოეპარაკა, მადლობის სათქმელათ იმ სიამოვნებისთვის, რომელიც ვიქტორიას მის ცქერაში ენახა. ბოლოს, როგორც შეეფერება მეფეს, რომელიც თავის თვალში კი დირეს ვერ ხედავს და სხვის თვალში ბეწვს ნიშნავს, ვიქტორიამ უთხრა ლემეტრს:—„ნუ თუ მართლა ასე გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან პარიჟის მუშებიო?“ ამ კითხვამ ლემეტრი გადარია. იმან იგრძნო პატრიოტული დაჩაგრა და ამ კითხვაში ინგლისელი დიდკაცობის ამაყობა დაინახა. მის თვალში მაშინვე წამოდგა ინგლისელი და ირლანდიელი მუშების დამშეული და დაცემული რაზმები, და იმ მოსწრებული, დამცინველი და მკვლელი სისწრაფით, რომელიც მარტო ფრანცუზული ტვინის თვისებას შეადგენს, უპასუხა ვიქტორიას ნაღვლიანი ხმით და გულის ტკივილით:

— ღიახ, თქვენო დიდებულებავ, ესენი საფრანგეთის ირლანდიელები არიან.

რაღა თქმა უნდა, რომ ვიქტორიას ეს პასუხი ტყვიასავით ეცა გულში. გულმტკივანა კოროლევა მაშინვე თავის ლოჟისკენ გაბრუნდა, მაგრამ ამ სცენის დამსწრემ მიამბო, რომ მის თვალებში იმ წამს ცრემლი მოცვარავდაო: გამოთხოვების დროს იმან თავი ვერ შეიკავა, და ფრედერიკ ლემეტრს გრძნობით უთხრა:

— „მართალს ამბობთ, ჩემდა საუბედუროთ, მართალსო!“

÷

ჭუთაისიდამ მოგვივიდა ტელეგრამმა, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ჭუთაისის თავად-აზნაურობის კრებას ივნისის 25 სხდომაზე მიუღია უმთავრესი საფუძვლები უფ. ბეს. ლოლობერიძის ბანკის პროექტისა. ამ გადაწყვეტილებაში 139 მეკენჭეს მიუცია ხმა და ამ რიცხვიდამ ზემოხსენებული პროექტის მიღების მოწინააღმდეგეთ მხოლოთ 6 აღმოჩენილა. ამ კრებაშივე თავად-აზნაურობას ამოურჩევია კომისია, რომელმანც ეს ბანკის პროექტი უნდა განიხილოს.

*
* *

ჩვენი ჩვეულებრივი ამწერელი იმერეთის სამღვდელოების კრებებისა ჭუთაისიდამ გვწერს, რომ იქ ამ ივნისის 20-ს კიდევ ყოფილა სამღვდელოების კრება; სხვათა შორის ამ კრებას ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლის 1874 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში (სმეტა) დაუმტკიცებია. ამას გარდა ჩვენი კორრესპონდენტი კიდევ ზოგიერთ წვრილმალ ინტრიგულ ამბებს გვაცნობებს, რომელნიც მომხდარან ამ კრების დროს, მაგრამ, რადგან ამათ არავითარი საზოგადო მნიშვნელობა არა აქვთ, ამის გამო აქ არ ვებეჭდავთ.

*
* *

ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი ქაღალდი თფილისის კერძოობითი ლომბარდის განმაწესებლებისა, რომლიდამაც ცხადათ სჩანს, თუ რა ჰაზრით მართავენ ეს განმაწესებლები თავის ლომბარდსა. ამ ქაღალდში, სხვათა შორის, სწერია, რომ ეხლა საზოგადოთ აქაური ხალხი და განსაკუთრებით ვაჭრები და წარმოებლები ფულის მსესხებლების ხელში არიან ჩავარდნილიო, რომ ისინი, დაჭირების დროს, საშინელი პროცენტით სესხულობენ ფულსაო, რომ აქ არ არის ისეთი განწესება, სადაც ვაჭარს თავის გაუყიდველ საქონელში ფულის აღება შეეძლოსო, და ამის გამო ჩვენში არც ვაჭრობა მიდის ხეირიანათ და არც წარმოებაო.

„ჩვენ გვსურსო, სწერენ შემდეგ ლომბარდის დამაფუძნებელნი, ამისთანა დამოკიდებულებისაგან განვათავისუფლოთ მწარმოებლები და მივსცეთ იმათ ღონის-ძიება, რომ ყოველივე თავის შრომის ნაყოფით თვითონ ეისარგებლონ. აი, ამ აზრით ემართავთ ჩვენ ქ. თფილისში კერძოობით ლომბარდს.“

როგორ არ გააცინებს კაცს ამისთანა სიტყვები? როგორ სასაცილო არ არის, რომ უბრალო რაღაცა კერძოობით ლომბარდს განეზრახოს ისეთი ღონის-ძიების გამონახვა, რომელიც „მწარმოებლებს “ფულიანი კაცების„ დამოკიდებულობისაგან გაათავისუფლებს? ერთი მითხარით, ვინ დაიჯერებს, რომ ამ ლომბარდს ისეთი „საშუალობის მიცემა შეეძლოს მწარმოებლებისათვის, რომ ყოველ მწარმოებელს თავის საკუთარი შრომით სარგებლობა შეეძლოს?“ ლომბარდი ჩვენში ეხლა, რასაკვირველია, სარგებლობას მოიტანს, მაგრამ არც ისეთს სარგებლობას, როგორც იმის განმაწესებლები ამბობენ...

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორჯომი, 25 ივნისს.

შარშან „დროების“ მკითხველებს ვაცნობე, რომ ბორის სასეირნო ბაღში აშენებენ საზაფხულო სატანციოს;—ხოლო აწ ვახარებ მათვე, რომ მოხსენებული შენობა მოიყვანეს სისრულეში ამ თვის 15-ს და ბევრს კიდეც მოსწყინდა მაში ტანციობა... უეჭველია, ბევრს „დროების“ მკითხველთაგანს არ უნახავს აქაური სასეირნო ბაღი და ახლად აშენებული საზაფხულო სატანციო; ეს ბაღი მდებარეობს ბორის ხიდის ახლო, მტკვრის პირზედ, როგორც თფილისის ბაღი, რომლისგანაც განირჩევა მხოლოდ მით, რომ აქ ხეები ჯერ არ გაზდილან და ბევრი მათგანი კიდეკა გამხმარან; განირჩევა მით კიდევ, რომ აქ არის ორნაირი ალლეები—ერთი დაბლანური და მეორე თავისუფალი, პატარა თუ დიდ მოსეირნეთაგან გაკეთებულები, რომლებიც ერთმანერთში სრულებით არ ირჩევიან, რადგანაც ყველგან სულ კენჭები, ქვები და წაღების და ფეხების(უფრო ქალების ნაზი ფეხების) მტრები ჰყრია. აქაურმა საზოგადოებამ საზაფხულო სატანციო შენობას უნდა მისცეს ზედმიწევნული სახელი „Rotonde“, რომელსაც აქაური „არისტოკრატები“ და უფრო ახალგაზდა ვაჭრები გამოსთქვამენ ხოლმე ფრანციზულის გამოთქმით.

ამ „როტონდაში“ კავალერებს შეუძლიანთ შეეიდენ ათი შაურის ძალით და ქალებს ყველგან ამგვარ შემთხვევაში გამათავისუფლებელ უფლების ძალით. პირველ ღამეებში, როდესაც დაიწყეს ტანციობა, ძრიელ კარგი ამბები იყო ხოლმე: პატარა ბიჭები და თვით აქაური „არისტოკრატები“ (სხვანაირი აზრის მქონენი შესახებ აშისთანა როტონდებისა) ეხვეოდნენ სატანციო ზალას გარეშემო ბალკონზედ და ფანჯრებიდგან ეაჭრის თვალით შესცქერდნენ მოტანცაეთ; თუმცა აქაურმა პოლიციამ და თვით ერთ განთქმულ ქალაქის დეპუტატთაგანმაც ბევრი ლონის-ძიება მოიხმარეს წესის აღსადგენად, მაგრამ ფუჭი იყო ყოველივე მათი მეცადინეობა და ბევრგან უკმაყოფილობამდისინ საქმე მიდიოდა. ბანა ყურება ამისთანა გასართობ რიგსამე უნდა აღეკრძალოს ვისმე?

ახლა, ამბობენ, კარგი ხერხი და სასარგებლო როტონდის მჭერალთათვის მოუგონიათ: ბაღში უფასოთ აღარავის უშვებენ თურმე—ფასი შესელისა 25-კაპ. მაშასადამე ამ „როტონდამ“ ბევრს აქაური საზოგადოების წევრს მოაკლო კმაყოფილება ბაღში სეირნობისა. იმასაც ამბობენ, რომ, როდესაც სატანციო ზალაში არ არის დანიშნული ტანციობა, ეს ზალა იღებს იმ ადგილის მნიშვნელობას, საიდგანაც, შემდეგ რამდენიმე ჯერის ქალაქის თამაშობისა, ბევრნი აზნაურნი, თავადნი და აქაური ჩინოვიკთაგანი გამოდიან გულ-ხელ-დაკრეფილები და ჯიბე-ცარიელები.

ჭ. ზარიფოვი.

რუსეთში

გაზ. „Кавказъ“-ში შემდეგი ტელეგრამმაა დაბეჭდილი: „პოლკოვნიკის ლომაკინისაგან ამბავი მოვიდა, რომ ხივის ხანი, რომელიც ხივიდამ—იუმუდამს გაიქცა, როდესაც ეს ქალაქი რუსის ჯარებმა დაიჭირეს, ისევ დაბრუნებულა უკან თავის უმთავრესი მინისტრებით და ღენერალ-ადიუტანტ კაუფმანს დამორჩილებია. ხანს საპატიო ყარაული აუყენია.

*
* *

გაზეთის „Русскій Міръ“-ის მე-147 ნომერში დაბეჭდილია: „ნემეცკურ გაზეთებს ციურიხიდამ ტელეგრამმა მოუვიდათ, რომელშიაც იწერებიან, რომ ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორების რჩევას გადაუწყვეტია პროტესტის დაბეჭდვა იმ ცნობებზე, რომელიც რუსის ახალგაზდა ქალების შესახებ არის დაბეჭდილი რუსის გაზეთებშიო.“

*
* *

მრთს პეტერბურღის გაზეთში იწერებიან ნიკოლაევიდგან, რომ იქ ამჟამად, შავი ზღვის ფლოტის უფროსის ბლაზენაპის მეცადინეობით, ოცი სახალხო შკოლა არის გამართულიო და ყველა ეს შკოლები საქალ-ვაჟო შკოლები არისო, ე. ი. ქალები და ვაჟები ერთათ დაიარებიან და ერთად სწავლობენო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ თითქმის ყველა ამ საქალვაჟო შკოლებში მხოლოთ ქალები ასწავლიანო და შაგირდები, როგორც სწავლით აფრეთვე ზნეობით, სამაგალითო ყმაწვილები არიანო.

*
* *

პენზის გუბერნიაში სამს სოფელს გადაწყვეტილება შეუდგენიათ, რომ ჩვენს სოფლებში ჩვენივე ხარჯით შკოლები გავმართოთო და თან მთავრობას ვსთხოვოთო, რომ ამ შკოლებში ვალდებულობითი სწავლის შემოღების ნება მოგვეცესო.

*
* *

სტაროდუბის უეზდის ერობას (ჩერნიგოვის გუბერნიაში) გადაუწყვეტია ერთ ათასი მანეთი მისცეს ერთ ქალს, რომელსაც ამ ათასის მანეთის ნახევარი ეყოფა ერთ წლის განმავლობაში ისწავლოს ბებიაქალობა პეტერბურღის ბებიაქალთა სასწავლებელში.

მაგრამ ლემეტრზე დღეს აბა ვინ იფიქრებს? დღეს საფიქრებელი, ყურის საგდები სპარსეთის შაჰის მოგზაურობაა. მართალი ვთქვა, მე როდი მეგონა, რომ „აღმოსავლეთის მფლობელს“ იმოდენა მიხვედომა ექნებოდა, რომ ის თავის მგზაურობას გონიერი წესით დაამარაგებდა. რადგანც ის ცივილიზაციის სანახავათ გზაურობს, იმას ისეთი გზა აურჩევია, რომ ნელ-ნელა და თან და თან, თითქო შეუნიშნავათ გაიაროს ყოველნაირი გაწყობილება და განათლება, ისე, რომ სპარსეთის და საფრანგეთის მდგომარეობის და განათლების განსხვავებამ ნამეტნათ არ დაჩაგროს მისი პატრიოტული გრძნობა.—რასაკვირველია, იმას ყველაზე უწინ რუსეთი უნახავს... შემდეგ პრუსია, ბადენი, ინგლისი და ბოლოს საფრანგეთში წასულა. ბონიერია ეს გამოზოგება და შემზადება, მით უფრო, რომ დაბრუნებაც ამგვარივე იქნება თურმე. შაჰი გამოიარის იტალიაში, ავსტრაიში და სათათრეში, საიდამაც ჩვენს ქვეყანაში მობრძანდება, და ერევნით ან ბაქოთი დაბრუნდება ოქროვან სპარსეთში....

÷

ნეტა ვიცოდე, რა და რა შთაბეჭდილება ჰქონია ამ „აღმოსავლეთის მფლობელს“ მისი მოგზაურობის დროს! ნეტა დავსწრებოდი მის ეიზიტს ბერმანიის პარლამენტში. მართალია, როგორც პოეტს, მე ადვილათ შემიძლია წარმოვიდგინო, რას იგრძნობდა ის პარლამენტის დანახვის დროს, მაგრამ თავისუფლოთ მწარმოებლები და მივსცეთ იმათ ღონის-ძიება, რომ ყოველივე თავის შრომის ნაყოფით თვითონ ეისარგებლონ. აი, ამ აზრით ემართავთ ჩვენ ქ. თფილისში კერძოობით ლომბარდს.“

როგორ არ გააცინებს კაცს ამისთანა სიტყვები? როგორ სასაცილო არ არის, რომ უბრალო რაღაცა კერძოობით ლომბარდს განეზრახოს ისეთი ღონის-ძიების გამონახვა, რომელიც „მწარმოებლებს “ფულიანი კაცების„ დამოკიდებულობისაგან გაათავისუფლებს? ერთი მითხარით, ვინ დაიჯერებს, რომ ამ ლომბარდს ისეთი „საშუალობის მიცემა შეეძლოს მწარმოებლებისათვის, რომ ყოველ მწარმოებელს თავის საკუთარი შრომით სარგებლობა შეეძლოს?“ ლომბარდი ჩვენში ეხლა, რასაკვირველია, სარგებლობას მოიტანს, მაგრამ არც ისეთს სარგებლობას, როგორც იმის განმაწესებლები ამბობენ...

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორჯომი, 25 ივნისს.

შარშან „დროების“ მკითხველებს ვაცნობე, რომ ბორის სასეირნო ბაღში აშენებენ საზაფხულო სატანციოს;—ხოლო აწ ვახარებ მათვე, რომ მოხსენებული შენობა მოიყვანეს სისრულეში ამ თვის 15-ს და ბევრს კიდეც მოსწყინდა მაში ტანციობა... უეჭველია, ბევრს „დროების“ მკითხველთაგანს არ უნახავს აქაური სასეირნო ბაღი და ახლად აშენებული საზაფხულო სატანციო; ეს ბაღი მდებარეობს ბორის ხიდის ახლო, მტკვრის პირზედ, როგორც თფილისის ბაღი, რომლისგანაც განირჩევა მხოლოდ მით, რომ აქ ხეები ჯერ არ გაზდილან და ბევრი მათგანი კიდეკა გამხმარან; განირჩევა მით კიდევ, რომ აქ არის ორნაირი ალლეები—ერთი დაბლანური და მეორე თავისუფალი, პატარა თუ დიდ მოსეირნეთაგან გაკეთებულები, რომლებიც ერთმანერთში სრულებით არ ირჩევიან, რადგანაც ყველგან სულ კენჭები, ქვები და წაღების და ფეხების(უფრო ქალების ნაზი ფეხების) მტრები ჰყრია. აქაურმა საზოგადოებამ საზაფხულო სატანციო შენობას უნდა მისცეს ზედმიწევნული სახელი „Rotonde“, რომელსაც აქაური „არისტოკრატები“ და უფრო ახალგაზდა ვაჭრები გამოსთქვამენ ხოლმე ფრანციზულის გამოთქმით.

ამ „როტონდაში“ კავალერებს შეუძლიანთ შეეიდენ ათი შაურის ძალით და ქალებს ყველგან ამგვარ შემთხვევაში გამათავისუფლებელ უფლების ძალით. პირველ ღამეებში, როდესაც დაიწყეს ტანციობა, ძრიელ კარგი ამბები იყო ხოლმე: პატარა ბიჭები და თვით აქაური „არისტოკრატები“ (სხვანაირი აზრის მქონენი შესახებ აშისთანა როტონდებისა) ეხვეოდნენ სატანციო ზალას გარეშემო ბალკონზედ და ფანჯრებიდგან ეაჭრის თვალით შესცქერდნენ მოტანცაეთ; თუმცა აქაურმა პოლიციამ და თვით ერთ განთქმულ ქალაქის დეპუტატთაგანმაც ბევრი ლონის-ძიება მოიხმარეს წესის აღსადგენად, მაგრამ ფუჭი იყო ყოველივე მათი მეცადინეობა და ბევრგან უკმაყოფილობამდისინ საქმე მიდიოდა. ბანა ყურება ამისთანა გასართობ რიგსამე უნდა აღეკრძალოს ვისმე?

ახლა, ამბობენ, კარგი ხერხი და სასარგებლო როტონდის მჭერალთათვის მოუგონიათ: ბაღში უფასოთ აღარავის უშვებენ თურმე—ფასი შესელისა 25-კაპ. მაშასადამე ამ „როტონდამ“ ბევრს აქაური საზოგადოების წევრს მოაკლო კმაყოფილება ბაღში სეირნობისა. იმასაც ამბობენ, რომ, როდესაც სატანციო ზალაში არ არის დანიშნული ტანციობა, ეს ზალა იღებს იმ ადგილის მნიშვნელობას, საიდგანაც, შემდეგ რამდენიმე ჯერის ქალაქის თამაშობისა, ბევრნი აზნაურნი, თავადნი და აქაური ჩინოვიკთაგანი გამოდიან გულ-ხელ-დაკრეფილები და ჯიბე-ცარიელები.

ჭ. ზარიფოვი.

მაგრამ, თუ „აღმოსავლეთის მფლობელმა“ ეს თავისი შთაბეჭდილება ბისმარკს გაუზიარა, და თუ ბისმარკმა მასთან გულწრფელობა იკადრა, რა მეფისტოფილური სახით ჩაუჩურჩულებდა ის შაჰს ყურში:

—„ეშმაკი ისე შავი და საშინელი როდია, როგორც იმას ხატვენ და არდგენენ!“

(დასასრული სტამბაში დაიკარგა)

÷

შესანიშნავია, რანაირათ სწერენ გაზეთები შაჰის მოგზაურობას. მოსკოვში გაზეთებს ყველაზე უფრო თავიანთი ყურადღება იმაზე მიუქცევიათ, რომ შაჰს ბრილიანტები აქვს ფოლაქების მაგიერო. პეტერბურგელი გაზეთები ყველაზე უფრო დაკვირვებით მის ტანსაცმელს, მორთულობას და მხლებლებს სწერენ, და, თითქო გაკვრით, ლაპარაკობენ, რომ იმას თუთხმეტი ცოლი ჰყავსო. ბერლინის გაზეთები იცდილობენ, იქნება ჩვენმა სახელმწიფომ შაჰთან ტრაქტატი შეჰკრასო და სპარსეთში ჩვენი ქვეყნის კაცებს უპირატესობა და სარგებლობა უშოვნოსო. ბელგიის გაზეთებში ათი სტრიქონი იყო მის თაობაზე. ინგლისელი გაზეთები ცდილობენ, რომ ინგლისის მმართებლობა შაჰს დაუახლოვდეს, რომ რუსეთს აზიაში შემძლე წინააღმდეგი გაუჩინოთო. საფრანგეთში გაზეთები ოხუნჯობენ მისი ცოლების სიმრავლეზე და თითქო გაკვრით სწუხან, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა მის მისაღებლათ ფული ბლომათ და უსარგებლოთ უნდა დახარჯოსო. რას იტყვიან ოსმალეთის გაზეთები, ამის მე არაფერი ეცი. ჩვენი გაზეთები კი იმას იტყვიან, რასაც მესტამბე გვათქმევინებს....

(დასასრული სტამბაში დაიკარგა)

÷

აჰა, ეს ყველაფერი მაინც და მაინც ჩვენი საქმე არ ყოფილა. უფრო წვრილმანი და უბრალო რამ გამოვძებნოთ, იქნება მაშინ ჩვენს ნაწერს უფრო მეტი პატივი მიეცეს....

მივმართოთ ქომაროვს და კომპანიას:

÷

იმ დღეს თეატრში გამოჩენილ აქტრისას ******-ს ჩინებული საზაფხულო ტანისამოსი ეცვა. მისი მშვენიერი, თითქო ჰაერით შეოსილი და ჰაერისგან შეკერილი კაბა, ცისფერი ქობით და სარტყელით, რომელსაც ლაზათიანათ ბანს აძლევდა გულისპირის ქვეშ გამომსჭვერი ნარნარი სხეული და პირის სახის ყმაწვილური ვარდისფრობა, კაცს სწორეთ აღმტაცი გრძნობით უმსებდა გულს. შლიაპა à la bergére შემკული მთიური ყვავილებით, მშვენიერათ ეთანხმებოდა მის ლაჟვარდ თვალებს და ფერმკრთალ თმას... გულზე ძვირფასი ბრილიანტი....

(დასასრული „Голосъ“-ში იხილე)

÷

გუშინ ჩვენს ჩინებულ, ყველასგან შეყვარებულ და პატივცემულ კვარტლის ნადზირატელს ხატაევრი კატა დაეკარგა. მისი სახლობა ამ საშინელმა უბედურებამ მეტისმეტათ დაჩაგრა. იმედია, რომ ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი გულითადი თანაგრძნობით მონაწილეობას მიიღებენ ამ საშინელ უბედურებაში და დაკარგულ კატას მალე მოძებნიან. და თუ კატა ვერ მოიძებნა, მთელი ქალაქი—ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ—ერთხმათ ფულს შეაგროვებს, ჩვენი პატივცემული კვარტლისთვის ახალი კატის მისართმევათ.

(აქ არაფერი დაკარგულა)

÷

ჰო, აკი მოვძებნე ნამდვილი მწერლობის კილო! დღეის იქით აღარა მიშავს რა. შელტონები და მოწინავე სტატიები, კორრესპონდენციები და კრიტიკა ამ უკანასკნელ კილოზე ვწეროთ, ძმანო მწერლებო, და თავს მოვიჭრი, თუ რამე დაგვეკარგოს.

ნ. სკანდელი.

28 ივნისს 1873.
თფილისი.

ვის ღუბერნიისას) უთხოვნია მმართებლობისათვის, ნება მოგვეცითო, რომ ჩვენს სასოფლო შკოლებში პირველ დაწყებითი სწავლა ვალდებულებითი იყოსო.

***

„ს. პეტერბურღის უწყებები“ ჰკიცხვენ ჩერნიგოვის გუბერნიის ერთს ისპრავნიკს, რომელსაც ერთი ქალისათვის დაუკეტინებია სასოფლო შკოლა მხოლოთ იმისთვის, რომ ამ ქალს იმისაგან შკოლის გახსნის ნებართვა არ ჰქონდა, მაგრამ ხუთი წლის განმავლობაში მშვენიერად ასწავლიდა შაგირდებსაო, და ამიტომ სამწუხაროა, რომ ამ უბრალო ფორმალური მხარის დასაკმაყოფილებლათ უნდა დახურულიყო ეს კარგი შკოლაო.

***

შინაგანი საქმეების მინისტრს დაუმტკიცებია ერთი ახალი საზოგადოების წესდებულება, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ს. პეტერბურღის მეხუთე გიმნაზიის შაგირდებს ყოველგვარი შემწეობა მისცეს სწავლაში, როგორც გიმნაზიაში, აგრეთვე შემდეგ, უმაღლესი განათლების მიღებაშიაც.

***

იმ საქალებო კურსებში მოსწავლე ქალებს, რომელიც მედიკო-ხირურგიის აკადემიასთან არის გამართული, ამასწინათ ეგზამენი ჰქონიათ. 80 ქალში 63 განუცხადებია ეგზამენის დაჭერის სურვილი და ამ რიცხვიდამ მხოლოთ სამს ვერ დაუჭერია რიგიანათ. დანარჩენებს ისე კარგათ გაუთავებიათ კურსი, რომ პროფესორები გაკვირვებულან.

***

ტვერის გუბერნიაში ერთს სოფელს ფულები მოუგროვებია და სასოფლო ბანკის გამართვა გადაუწყვეტია. იმ კრებაზე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება მიუღიათ, ბანკის გამგებელათ ერთი იქაური მებატონის ქალი ამოურჩევიათ.

***

მარტო პენზის გუბერნიაში სამას ორმოც სოფლის საზოგადოების მცხოვრებლებს პირობა მიუციათ ერთმანეთისათვის, რომ დღეის შემდეგ არაყი არა ვსვათო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

„ტიერის რესპუბლიკა ცოტათი კიდევ განსხვავდებოდა მონარხიისგან, ჩვენ კი ისეთ საკაზმავს უზამთ, რომ აღარ შეიძლებოდეს იმის გამოცნობა ნამდვილ მონარხიისაგანო!“— ეს არის ახლანდელი რესპუბლიკის მოპირდაპირე პარტიების დაფარული აზრი! მთავრობაც ამ პარტიის კაცებისგან არის შემდგარი. მაგრამ ეს კონსერვატორული საქციელი რომ არ არის, როგორ მოეთავსებიან ამნაირ დაბრკოლებას მონარხიელები? კონსერვატორული სჯული წინააღმდეგია ყოველი ცვლილების, ის გაქვავებულია ლოტის ცოლსავით და არ იცვლის ფეხს. მაგრამ საქმე ადვილად წყდება: მონარხიელები, თუმცა არწმუნებენ საზოგადოებას თავის უმოძრაობაზედ, მაგრამ საიდუმლოთ ძალიან ვახურებული მუშაობა აქვთ. „რაკი პალატამ მონარხიისაკენ ერთი ნაბიჯი ჰქნა, შუა გზაზედ შეჩერება უგუნურობა და სიმხთლე იქნებაო,“ ყვირის ბონაპარტიული პრესსა.

ეს პარტია ივიწყებს, რომ, მისი პატრონების წყალობით, საფრანგეთს სამჯერ შემოსევია მტერი, ივიწყებს გულზედ მოგლეჯილ პროვინციებს, მილიარდებს, სამ მილიონზედ მეტ მსხვერპლს და უკანასკნელად სამოდამოთ წარუხოცველ სირცხვილის ჭამას შარშანწინდელ ომში.

ამ ჟამად გაზეთებში ისევ „ჟორსერის“ აღკრძალვაზე, ბელეს ცირკულიარზე და რანკის სამართალში მიცემაზე ლაპარაკობენ. გაზეთის აღკრძალვა ძალიან შესანიშნავ საქმეთ ჩაითვლება განათლებულ ხალხში და ნამეტურ იმისთანა გაზეთის, რომელსაც დიდი გავლენა აქვს და ბევრი მკითხველები ჰყავს.

როდესაც პარიჟის ღუბერნატორის ბრძანებით „ჟორსერი“ შეაჩერეს, მესამე დღეს კრებაში რესპუბლიკელ დეპუტატმა ლეპერმა კითხვა მისცა მძართებლობას ამ საგანზედ. ლეპერმა დაუმტკიცა მინისტრებს, რომ „ჟორსერი“ სრულიად არ გარდამცდარა კანონს. „რესპუბლიკელ გაზეთს აბრალებენო, სთქვა დეპუტატმა, უკანონო ხელის მოწერის გახსნას, საზოგადოების საფუძველების შერყევის ცდას და გაბრაზებულ პოლემიკას. ყოველივე ეს სიცრუეა. არცერთი სტატია ჩვენი კოდექსისა არ აძლევს ნებას მოსამართლეს დასჯას გაზეთი, თუ მას დამტკიცებული და შეურყეველი საფუძვლები არა აქვს. მხლა მიბრძანეთ: რა საფუძვლები ჰქონდა ლამიროს, როცა აღკრძალა „ჟორსერი? ის ჩვენ ამას არ გვეხსნის, ამბობს მხოლოდ: „ერთობ მაენებელი გაზეთი არისო.“ ეს „ერთობ“ ერთობ მცირე მიზეზია და, როდესაც კალამიხრმალის უფლების ქვეშ არის, მაშინ საფრთხილო მდგომარეობაშია ხალხის თავისუფლება! მე აქ არ ვამბობ მარტო ერთი გაზეთის აღკრძალვაზედ, მე უფრო დიდი საგანი მაქვს სახეში. მიპასუხოს პალატამ, საჭიროა თუ არა ამნაირი დევნა სტამბისა? სასარგებლოა, საზოგადოების პირის აბმა?! ლიტერატურაში თქვენცა გყავთ წარმომადგენლები და ჩვენცა, მაგრამ იქ ყველანი ერთ ხმით ღაღადებენ, რომ „სტამბა შეუხებელი უნდა იყოსო.“ ამას გარდა თქვენ იცავთ ხომ საკუთრებას? კარგი! რა არის, თუ არა საკუთრების უფლების დარღვევა, როდესაც ერთი კალამის მოსმით კრძალავთ გაზეთს, რომელიც არჩენს რამდენსამე ასს სულს? რა უნდა ჰქნას მწერლებმა, გამომცემლებმა, ტიპოგრაფიაში მუშებმა, გამყიდველებმა და სხვა ბევრმა? უველა ეს ხალხი განა ქუჩაზედ ულუკმა-პუროთ არ რჩება თავის დედმამით, ცოლითა და შვილით? ამის შემდეგ კიდევ ბედავს მთავრობა სთქვას, რომ ის იცავს „ზნეობით წესს?“ როგორი „წესია“ ეს ან როგორი „ზნეობაო?...“ დაასრულა ორატორმა თავისი სიტყვა. პალატაზედ ძალიან შთაბეჭდილება იქონია ამ მკაცრმა მმართებლობის განკარგულების დაფასებამ.

როდესაც მართებლობას ეგონა, „მადლობა ღმერთს, გაათავა ამან ჩვენი გამამტყუნებელი სიტყვაო,“ ამ დროს ტრიბუნაზედ გაჩნდება ბამბეტა. რესპუბლიკელების თავმა მოითხოვა ერთი ქალალდის წაკითხვის ნება. აი რა ეწერა შიდ: „შინაგანი საქმეების მინისტერიდგან პრეფექტს. შემატყობინეთ დაწვრილებით თქვენი დეპარტამენტის ლიტერატურის აზრი, ვინ არიან შესანიშნავი მწერლები, როგორი ხასიათის და შეძლების კაცები არიან, რამდენათ შეიძლება მათი გადმობირება და სხვა ამისთანა ცნობები. ჩვენ გავმართეთ აქ კანტორა და ყველა გაზეთებში გამოვგზავნით კორრესპონდენციებს; შეიტყვეთ, რას დაგვჯერდებიან ამ კორრესპონდენციების დასაბეჭდათ! მცადეთ დაუმეგობრდეთ ჟურნალისტებს, აჩვენეთ სიყვარული და პატივის-ცემის სახე. დროა არის, რომ მთავრობამ დაიჭიროს ხელში ქვეყნის აზრი!“ პალატაში საშინელი მძრაობა შეიქნება ამ წიგნის კითხვაზედ. „მე მოვსთხოვ მმართებლობას, მომცეს პასუხი, სთქვა ბამბეტამ მრისხანეთ, ნამდვილია ეს ცირკულიარი, თუ არა? თუ ეს მართლა სამინისტროდგან გამოსული ქალალდია, მაშინ თქვენ, მიიქცა ბროლისკენ, იმპერიის პროტექჟე კიარა, მისი ლიტერატურის უსინდისო ჭურდი ჰყოფილხართო.“ (ნაპოლეონი ხშირათ გზავნიდა ამ ნაირ განკარგულებას პრეფექტერთან.)

მთელი პალატა აღელდა ამ საბუთის წაკითხვაზედ. „ეს ხალხის გარყვნა არის!“ „ამისთანა საძაგლობა იმპერიის დროსაც არ ყოფილა.“ „ვინ ჰბედავს ასე საზოგადოების სინდისის აგდებას!“ და ბევრი ამისთანა სიტყვები მოისმოდა ნაციონალურ კრებაში ყოველის მხრით. ტრიბუნაზედ შედის შინაგანი საქმეების მინისტერი ბელე. ფერ-შემკრთალი, ხმა-ჩავარდნილი და იმედ-მოსხლეტილი აცხადებს ეს რეაქციის მსხვერპლი, რომ საბუთი მართალია ჩემი არისო, მაგრამ მე თანახმა არ ვარ, რაც იმაში სწერია იმისიო. მე მივანდე ჩემს თანაშემწეს დაეწერა ქალალდი, მაგრამ ამისთანა კი არაო, და წაუკითხავად გავაგზავნეო. დასაჯერებელი არ არის, რომ ექვსასი გაზეთის მოსყიდვა განმეზრახოს, სიგიჟე არ იქნებოდა ამისთანა ფიქრიო.“ მარცხენა მხარემ მოითხოვა, რომ მინისტერს უკმაყოფილება გაენუცხადოს კრებამ კენჭის ყრით, მაგრამ უმრავლესობამ უარი სთქვა, ე. ი. მონარხიელებმა. გამარჯვება პარლამენტალური წესით მაინც მთავრობას დარჩა, რაკი პალატის უმრავლესობამ მისი მხარე დაიჭირა.—მაგრამ ორიოდე ამისთანა ომის მოგების შემდეგ, ეხლანდელი სამინისტროს ნატამალსაც ვეღარ ნახავს კაცი.

იმ დღესვე მინისტერმა და მისმა თანაშემწემ დათხოვნა შეიტანა პრეზიდენტთან. ბელე დაარჩინეს და მისი ამხანაგს კი დაულოცეს გზა.... ამ ბამბეტასგან გამოძებნილ საბუთმა ააღელვა საზოგადოება, შეაძაგა და დაუკარგა მთლად ფასი მთავრობას. ძიდევაც რომ მოენახათ ამდენს ხანს ისეთი მწერალი, რომლის მოყიდვა შეიძლებოდა, ამ ცირკულიარის შემდეგ ერთ კაცსაც ეღარ იპოვნის მართებლობა, რომ მისდა სასარგებლოთ ილაპარაკოს. ნამეტურ პროვინციალური პრესსა გაბრაზებულია და თხოულობს მინისტრის გარდაყენებას იმის ღირსების შეურაცხყოფისთვის.

ეხლა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა რანკზედ. ის პომმუნის წევრი იყო. 6 აპრილს რინკი გამოვიდა კამმუნიდგან, რადგან აღარ ეთანხმებოდა შემდეგ მის განკარგულებას. ორი წელიწადი არავის უფიქრებია, რომ სამართალში მიეცა ეს ჟურნალისტი და ეხლა რომ დააყენეს საზოგადოებას ბელეს ცირკულიარის შთაბეჭდილება, ასტეხა მართებლობამ ეს პროცესსი. პარიჟის ღუბერნატორი თხოულობს რანკის სამხედრო სამართალში მიცემას და ამისთვის მან მოთხოვნება ნაციონალურ კრებას (დეპუტატს, გარდა ნაციონალური კრებისა, ვერავინ შეეხება). ცხადია, მონარხიული უმრავლესობა სიხარულით გადაუწყვეტდა მმართებლობას თავისი პოლიტიკური მტერის სამართალში მიცემას. ამ საქმეში რესპუბლიკელები ხედვენ პოლიტიკურ ანგარიშებს და არა სამართლიანობის აღსრულების სურვილს. ორი წლის წინეთ ამავე ნაციონალურმა კრებამ უარი სთქვა რანკის ჩვენების ჩამორთმევაზედ; ეხლა კი გათამამებული გამარჯვებით არღვევს წინანდელ თავის გადაწყვეტილებას. ედგარ კინემ მშვენიერათ უწინასწარმეტყველა მონარხისტებს და მის ლაპარაკს, როგორც შესანიშნავ ისტორიკოსისას, აქვს ფასი მათ თვალში. კინემ სთქვა: „დეპუტატის შეხება პირველი და უმთავრესი უბედურება იყო ჩვენი დიდი რევოლიუციისა. როდესაც ხალხის წარმომადგენელის ბედი უმრაველესობის მტრულ ნებაზედ ჰკიდია, მაშინ სამართლიანობა კარგავს ძალას და ხრმალი იწყებს ბატონობას. ჩვენ ეს გამოვცადეთ. დღეს თქვენ ხართ უმრაველესობა პალატაში, სთქვა კინემ, ძალიან შესაძლებია, რომ ხვალ ჩვენ, რესპუბლიკელები, ვიქნეთ უმრაველესობა,—რას ჰფიქრობთ იმ დღისთვის?“

—თუ რა მიმართელებისაა ეხლანდელი საფრანგეთის მმართებლობა—ამას, სხვათა შორის, ის გარემოებაც ცხადათ გვიჩვენებს, რომ რაც მაკ-მაჰონი და იმის მინისტრები შეიქნენ საფრანგეთის გამგებლებად, მას აქეთ ესპანიის ბურბონებმა და კლერიკალებმა კიდევ უფრო გამოყვეს თავი და მხნეობა გიმოიჩინეს. თვითონ დონ-ქარლოსი და იმის მომხრეები თამამად დაიარებიან თურმე ესპანიის მოსაზღვრე საფრანგეთის პროვინციებში და ყველა სამხედრო იარაღი და სურსათი ამ პროვინციებიდამ გააქვთ ესპანიის კანონიერი (რესპუბლიკის) მმართებლობის საბრძოლელად და ხალხის ასაჯანყებელად.

— ერთს საფრანგეთის პრეფექტს (ღუბერნატორს) გამოუცხადებია, რომ ჩემდა ნება დაურთველათ ჩემს საგამგებლოში არცერთი გაზეთი არ უნდა მოვიდესო. ამის თაობაზე, როგორც გაზეთებში იწერებიან, ერთმა მარცხენა მხრის დეპუტატმა უნდა ჰკითხოს მმართებლობას, ნუ თუ მართალია ეს ამბავიო. შრანცუზული გაზეთები ამ ამბავმა საშინლათ გააცხარა: „ესღა გვაკლდა, რომ ჩვენში ეხლა ცენზურა გაჩნდესო,“ გაცხარებით ამბობენ ისინი.

ესპანია

ამ უკანასკნელ დროს ვერცერთმა სამინისტრომ ვერ მოიდგა ფეხი ესპანიაში: ერთი სამინისტრო მეორეს სცვლის და მესამე მეორეს ადგილზე ინიშნება. ივნისის 8 ახალი სამინისტრო კრიზისი მომხდარა; ამ დღეს აღმასრულებელი უფლების უფროსს—პი-ი-მარგალს სიტყვა წარმოუთქვამს კორტესებში, რომელშიაც, სხვათა შორის, უთქვამს, რომ ესპანია ეხლა ისეთს გაჭირვებულ მდგომარეობაში არისო, რომ უბრალო ლაპარაკსა და ბაასს თავი უნდა დავანებოთ და საქმეს უნდა შეუდგეთო. პი-ი-მარგალმა საშინელი სურათი წარმოადგინა ეხლანდელი ესპანიის მდგომარეობისა და ბოლოს სთქვა, რომ ჩვენს სამშობლოს და რესპუბლიკას ეხლა მხოლოთ მარჯვე ენერგიული მმართებლობა უშველისო. ამის შემდგომ წარმოდგა კასტელარი და პი-ი-მარგალის სიტყვებს დაუმატა, რომ რესპუბლიკას თუ რამე დაღუპავს, ისევ ჩვენი, რესპუბლიკელების, წინადაუხედაობა და უმოქმედობაო; ბოლოს იმან იმით გაათავა, რომ ურჩია კორტესებს, პი-ი მარგალს დროებით დიქტატორის უფლება, მიენდოს ისე, რომ იმას გაჭირვების დროს შეეძლოს როგორც უკეთ დაინახოს ისე მოიქცეს და მხოლოთ შემდეგ წარუდგინოს კორტესებს თავის მოქმედების ანგარიში. სამი მეოთხედი კორტესების წევრებისა დათანახმდა ამ წინადადებაზე და ამნაირათ პი-ი-მარგალს განუკითხავი მოქმედების (დიქტატორის) უფლება მიანიჭეს. ამის შემდეგ სამინისტრო დაეთხოვა სამსახურს და ახალი სამინიტროს წევრები პი-ი-მარგალმა უნდა ამოარჩიოს.

— ამბობენ, რომ კასტელარი ესპანიის ფედელარული რესპუბლიკისათვის თითქმის იმგვარსავე ახალ კონსტიტუციას ამზადებს, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში არიან. აი უმთავრესი მუხლები ამ კასტელიარის კონსტიტუნციის პროექტისა: მთელი ესპანია და იმის კოლონიები ხუთმეტ შტატათ იქნება გაყოფილი; მადრიდი რესპუბლიკის სატახტო ქალაქად დარჩება. პრეზიდენტი მთელი ხალხისაგან უნდა იქნეს ამორჩეული ხუთი წლის ვადით. სენატი ცალკე შტატების წარმომადგენლებისაგან შესდგება და კორტესების დეპუტატებს კი პირდაპირ ხალხი უნდა არჩევდეს.

ინგლისი

დეპუტატს ფორსტერს ახალი წინადადება შეუტანია ინგლისის პარლამენტში, სახალხო განათლების თაობაზე. ამ წინადადების ძალით, ფორსტერი თხოულობს, მმართებლობამ კანონი გამოსცეს, რომ ყველა ღარიბი ინგლისელები, რომელთაც სახელმწიფო ხაზინიდამ ან საზოგადოებისაგან რაიმე შემწეობა ეძლევათ, ვალდებულნი იყვნენ რომ თავიანთი შვილები უსათუოთ გამოზარდონ პირველი-დასაწყისს შკოლებში. 1870 წელს ფორსტერმა უფრო ერცელი წინადადება შეიტანა პარლამენტში დასამტკიცებელად, მაშინ ის თხოულობდა, რომ ყოველი ინგლისელი ვალდებული უნდა იყოს თავის შვილს კითხვა მაინც ასწავლოსო; მაგრამ პარლამენტმა ეს წინადადება არ მიიღო მაშინ და მის მაგიერათ ზოგან შკოლები გახსნა. ეხლანდელ ფორსტერის წინადადებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რაც ლოთები, ავაზაკები და ქურდები გამოდიან ინგლისში, სულ ამ ღარიბების შვილები არიან და ამათი განსწავლა წერა-კითხვაში და რომელსამე ხელობაში, რასაკვირველია, უანგარიშო სარგებლობას მოუტანს ინგლისის საზოგადოებას.

ოსმიანობის მნიშვნელობა ქაცობრიობის ცხოვრებაში

(დასასრული.)

ჩვენ ხშირათ გაგვიგონია და წაგვიკითხავს რომ აი, ესა და ეს ხალხი სულაც არ უგდებს ყურს სამხედრო ნაწილს, მაგრამ კარგათ მიყავს თავისი საქმეო და კარგათაც იცავს თავისუფლებასო, როგორც, მაგალითათ შვეიცარიაზე ამბობენ ზოგიერთები. მაგრამ ამ სიტყვებს რომ საფუძველი არა აქვს—იმით შეიძლება დამტკიცდეს, რომ დიდი ხანია, რაც ევროპა ბაძავს შვეიცარიელ თოფების გარდაკეთებასა და სხვა ათას გვარ ტეხნიკურ გაუმჯობესობებს ამ საგნებში. მაშასადამე შვეიცარიელებს არა სძინავთ და კარგათაც ესმისთ რომაელების სიტყვები: Si vis pacem para bellum(თუ გსურს მშვიდობიანობა, საომრათ მზათ იყავი): უთუოდ იმ პირებს ჰგონიათ, რომ სამხედრო მეცნიერება მხოლოთ ნაპლეჩოებაში დალაჯების სწორ გადგმაში მდგომარეობს.

სამხედრო ხელობა, თუ უფრო გონივრულად შეხედავს კაცი იმას, ისე ადვილ ხელობა არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონი. სხვა ხელობაში კაცს აქვს საქმე უსულო და უგრძნობ საგანთან (როგორც მაგალითად, ხელობა მხატვრისა, სკულპტორისა, დურგლისა და სხვა, რომელიც შეიძლება გაზომოს, ასწონოს და იმ ნაირად შეცვალოს კაცმა, როგორც მას სურს. მაგრამ აქ კაცს აქვს საქმე, გარდა იმ უგრძნობ საგნებისა, კიდევ კაცთან. სხვა ხელობაში ოსტატს არ აგვიანდება, ის მაშინ მისდგება თავის საქმეს, როდესაც იშტაზე მოვა. მაგრამ ომში და პოლიტიკაში, როგორც ნაპოლეონი ამბობს, „ერთხელ დაკარგული წამი მისდღეში არ დაბრუნდება,“ და ამას გარდა ომის ოსტატი იშტას ვერ უცდის, ის უნდა იყოს იშტაზე მაშინ, როდესაც მისგან მოითხოვს ამას შემთხვევა. სხვა ხელობის კაცი აკეთებს თავის საქმეს მაშინ, როდესაც იმის ბუნებას არაფელი არ არყევს; მაგრამ აქ ოსტატის ხელობა მაშინ არის საჭირო, როდესაც სული და ხორცი იყრება, როდესაც ყოველ წამს სიკვდილი თავზე გვადგია. რასაკვირველია, რომ ამისთანა გარემოებაში კარგი უსტაბაში უნდა იყო, რომ შაგირდმა ფარდა არ გაგიხიოს. აი, ამის მიზეზია, რომ ჩვენ სამხედრო ნაწილში ისეთ შესანიშნავ სამხედრო კაცებს, როგორც ალექსანდრე მაკედონელს, ანიბალს, ცეზარს, გუსტავ-ადოლფს, ტიურენს, ფრიდრიხს, ნაპოლეონს, ვხედავთ ორასი წლის განმავალობაში ერთს ან ორს. როგორც ეტყობა, ბუნება ძუნწია ამისთანა კაცებზე

ახლანდელ დროში ეს თვისებაც არ არის საკმაო სამხედრო ოსტატისათვის. ის უნდა იყოს სავსე კაცთ-მოყვარეობითა, პატიოსნებითა და კარგათ უნდა იცოდეს ადამიანის ხასიათის გარემოება, უნდა ესმოდეს—რისთვის იბრძვის, ერთი ნაბიჯიც არ უნდა აქნევინოს მას თავ-მოყვარეობამ, თორემ, აბა მითხარით, რას იტყვის შთამომაველობა იმ კაცზე, რომელსაც ლენტებში და ჯვარმენდლებში თავისი პატიოსნება, კაცთ მოყვარეობა და პატრიოტული გრძნობა გაუყიდია! ძვირათ დაბადებულა იმისთანა გენიოსი სამხედრო ნაწილში, როგორც ნაპოლეონი I, მაგრამ მუდამ გაუმაძღარ გულმა, მის კაცობრიობის უპატივცემლობამ და თავისუფლების დაჩაგვრის სურვილმა მიიყვანა ის იმ ბოლომდი, რომელიც ელირსა მას. არა მგონია, რომ მარტო სიმხნეემ იხსნას კაცი უბედურობისაგან: თუ კაცის სიმხნეე სძლევს ჭკუას და სწავლას, მაშინ ცხადია, რომ ის სიმხნეე თავ-გამწევ ცხენივით ჩაღუპავს მას უფსკრულში. ყველამ ვიცით, რომ ჩვენ სამშობლოს არ კლებია გმირები, რომელიც მისთვის თავს სწირავდნენ; მაგრამ, ჩემის აზრით, ჩვენი შინაგანი ცხოვრების უცოდნელობამ, უსწავლელობამ და შორს გაუქვრეტელობამ მიგვიყვანა ჩვენ იმ მდგომარეობამდი, რომელშიაც რუსების შემოსვლის წინეთ ვიყავით....

ასე, შეწირვა თავის თავისა მსხვერპლად სამშობლოისთვის არის უპირველესი შეწირვა და აგრეთვე პატიოსანი; მაგრამ ძალიან ხშირად ეს მსხვერპლი გამოუდეგარია! ჩვენ წინაპართ ვერ შევჩივლებთ ჩვენ, რომ იგინი მზათ არ ყოფილიყვნენ მსხვერპლათ სამშობლოსთვის. მაშ ჩვენ დაგვრჩა დაუმატოთ ამ თვისებას ის, რომ ვეცადოთ ჩვენი ხალხის შინაგანი არსებობის გაუმჯობესობაზე...

სირიაჩქონელი შიშვარდიანი.

1873 წ. პეტერბურგი

ნარევი

ამ მოკლე ხანში ნაციონალური კრების ერთი რესპუბლიკელი დეპუტატი, სახელად ბრუსი, გარდაიცვალა პარიჟში და 400,000 ფრანკი და ერთი სახლი დასტოვა სასოფლო შკოლებისა და ღარიბებთათვის.

*
* *

ამბობენ, რომ ამ შემოდგომაზე სლავიანელი მასწავლებლები შეიკრიბებიან ვენაში და სხვა და სხვა პედაგოგიურ საგნებზე ექნებათ მოლაპარაკებაო. სხვათა შორის, კრებას ექნება სჯა იმაზე, თუ რომელ სლავიანურს ენაზე გამოსცენ ისეთი სახელმძღვანელო წიგნები, რომ ყველა სლავიანურ შკოლებში გამოდგებოდეს. ამგვარი საშუალებებით ჰსურთ, რომ ყველა სლავიანურ ხალხებში ერთობის სურვილი გააღვიძონ.

*
* *

ერთს რუსის გლეხს ამას წინათ თაკის ცოლი ერთი მიკიტანი ქვრივი ურიისათვის მიუყიდნია ხუთ თუმნათა. მაგრამ ეს ქალი მეორე დღესვე გაქცევია ამ მიკიტანს და მამასთან მისულა, რომელსაც უჩივლია კიდეც. ეს საქმე ამ მოკლე ხანს გაარჩიეს და ოლქის სასამართლომ „ცოლ-ქმრობის კანონის დარღვევისათვის“ რაღაც სასჯელი გაუჩინა. ამის შემდგომ ცოლი თავის ქმარს აღარ მიჰკარებია, დედ-მამასთან დაბრუნებულა.

*
* *

ვენაში დაიჭირეს გამოჩენილი ქურდი, რომელსაც შვიდმეტი წლის განმავლობაში, რაც რომ ეს ხელობა დაუწყია, როგორც გამოძიებიდამ აღმოჩნდა, რვა მილიონი ფრანკი მოუპარავს. მარტო ერთი ვენის ბანკიდამ იმან ამას წინათ ერთი მილიონი და სამასი ათასი ფრანკი მოიპარა. ამის დამჭერს 25,000 ფრანკი აჩუქეს.

გამოვიდა და ურიგდება ხელის-მომწერლებს

„კრებული“

(მეოთხე წიგნი)

შინაარსი: გლახის ნაამბობი, მოთხრობა (თავი VI-VIII) ილ. ჭავჭავაძისა.—„დამქრობლა ქარმან სასტიკმან,“ ლექსი ნ. ბარათაშვილისა.—სხვა და სხვა გვარი სიყვარული, ლექსი აკ. წერეთლისა.—ჩვენი ცხოვრების უკვალვილი, მოთხრობა (თავი XVI-XXI) გ.—თელისა.—სიმღერა განდგომილთა (პლეშჩეევიდამ).—შვილი მეცხრამეტე საუკუნისა, ესკიროსის წიგნებიდამ.—აჩრდილი, პოემა (ხანა XI—XIV) ილ. ჭავჭავაძისა.—გვართა ბრძოლა საქართველოში, გ. გორის ელისა.

„კრებული“ ღირს გაგზავნით ერთი წლის ექვსი მანეთი, ნახევარი წლის სამი მანეთი. თითო წიგნი ათ შაურათ იყიდება გაუგზავნელათ, და სამაბაზათ—გაგზავნით.

„ჟერული“ და „დროება“ ერთათ ღირება გაგზავნით: ერთი წლის ცხრა და ნახევარი წლის ხუთი მანეთი. მთელი წლის „კრებულის“ (1873) და ნახევარი წლის „დროების“ (ივლისის პირველიდამ) დაბარებაშეიძლება შვიდ მანეთათ.

განცხადება

1860 წლიდამ დაწყებული მე თამბაქოთი ვეჭრობ, რომელიც ოსმალეთიდამ მომაქვს. იმ დროდამ მოკიდებული დღეევანდლამდე თფილისისა და სხვა კავკასიის ქალაქების ბევრი თამბაქოს მეფაბრიკეები ჩემი აქაური ამბარიდგან ჰყიდულობდნენ თამბაქოს ფურცელსა, და ყველანი ჩემზე კმაყოფილნი იყვნენ.

ეხლა, იმ თამბაქოს ამბარს გარდა, რომელიც იაკობ ხერედინოვის ქარვასლაშია, მე პირველი მკათათვიდამ ვაღებ ჩემ საკუთარ თამბაქოს მაღაზიას.

ვაცნობებ რა ამას თფილისისა და სხვა რუსეთის ქალაქების პატივცემულ საზოგადოებას, უმორჩილესად ვსთხოვ თავის მოთხოვნილებით პირდაპირ ჩემთან მომართონ და მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც თამბაქოს ფურცლისა, აგრეთვე ჩემს მაღაზიაში თამბაქოს ნახელაევების მყიდველი სრულიად კმაყოფილი იქნება, რადგან საუკეთესო თამბაქო მაქვს და ფასებიც ზომიერია.

თამბაქოსა და პაპიროზების პრეისკურანტს თავის დროზე გამოვაცხადებ.

თამბაქოს ფაბრიკა ქარვასლაში ჩასტკის 1 განყოფილებაში, სომხის ბაზრის ახლოს, ნახშირის მოედნის პირდაპირ კომოევის სახლებში; უმთავრესი მაღაზია იქნება ბალავინის პროსპექტზე, ბუჭყიევისა და მდივანის ახალს შენობაში №3. ამას გარდა კიდევ იქნება მაღაზიები: კუკიაში, მიხაილოვის ქუჩაზე, ღვთის მშობლის ეკკლესიასთან და ერევნის მოედანზე „ევროპის“ სასტუმროს პირდაპირ, სუსანოვის სახლებში.

კომიტეტი უმაღლესად-დამტკიცებულის

ლოტარეიასი

კავკასიის აქეთა და იქითა მხრის კეთილ-მოქმედი და აღმზრდელი დაწესებულებებისა, რომელნიც დიდი კნეინა ოლგა თეოდორეს ასულის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

აცხადებს, რომ იმან გამოსცა

200,000 ბილეთი

სულ 2,000 მოგებისა, რომელთაგან უმთავრესნი არიან:

ა, **მიწები**, ზოგი შავი ზღვის ნაპირზე და ზოგი კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში, რომელნიც მეურნეობისათვის გამოსადეგნი არიან:

ხუთი მოგება—თითო 200 დესიატინა
ხუთი — — — 100 —
ათი — — — 50 —

ბ ოქროსა და ვერცხლის ნივთები:

ორი მოგება—თითოს ფასი—1,500 მან.
ხუთი მოგება — — — 1,000 —
ათი — — — — 500 —
ათი — — — — 200 —
ხუთმეტი — — — — 100 —

გ, მცირე ფასის აგრეთვე ოქროსა, ვერცხლის და ბრონზის ნივთები—ათასი ცხრაასოცდა თერამეტი მოგება.

თითო ბილეთი მანეთად ღირს.

ბილეთების ყიდვა შეიძლება: დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის პეტერბურღისა და თფილისის სასახლეს კანტორებში; აგრეთვე მთელ რუსეთის ღუბერნიებისა და უეზდების სასამართლოებში.

ლატარეა ითამაშება თფილისში. თამამობის დრო და მოგებული ბილეთების ნომრები სატახტო ქალაქებისა და კავკასიის ვაზეთებში იქნება გამოცხადებული.

გიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა და გამოვიდა
თ. გრიგოლ ორბელიანის
ლექსები

გამოცემა პეტრე შმიკაშვილისა.

იყიდება თფილისში—წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში— გ. ქალანდარიშვილთან და პრინცის სტამბაში— სვიმონ ჩომახიძესთან. სხვა ქალაქებში ვისთანაც მუდამ ქართული წიგნები ისყიდება.

ფასი ათი შაური და სქელ ქალაზე დაბეჭდილი ერთი მანეთი.

„ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“

იაკობ გოგებაშვილისა— დაიბეჭდა მეექვსე შესწორებული გამოცემით, რიცხვით 14,000 ეგზემპლიარი და იყიდება გამომცემელთან და წიგნის მაღაზიებში.

„ბუნების კარი“, მეორე გამოცემლა იბეჭდება.

Дозволено цензурою. Тифлисъ. 29 Іюня, 1873 г. სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი